წლიწადი მერვე.—№ 403

პარასკევი, 21 დეკემ. 1873

გაზეთის ფასი

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

ხელის-მოწერა

ტფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

შინაარსი:

საქართველო: ლიტერატურა სხვა და სხვა ქვეყნებში—წვრილი ამბები—უფ. იდიოტებო—„დროების" კორრესპონდენცია: ყვირილი-დამ—წიგნი რედაქტორთან უცხო ქვეყნები: საფრანგეთი ბაზენის საქმის გათავება—ბიბლიოგრაფიული და სხვა განცხადებები.

ფელეტონი, ს. ქიშვარდიანისა.

„დროება"

1874-ში გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე პირების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისს—„დროების" კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქუთაისს—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

„დროება" ღირება გაგზავნით: ერთი წლით—ექვს მანეთად, ნახევარი წლით—სამ მანეთად.

„კრებული" და „დროება" ერთად ღირება გაგზავნით: ერთის წლით—ცხრა მანეთად და ნახევარი წლით—ხუთ მანეთად.

ვისაც ამ წლის „დროების" ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

საქართველო

ლიტერატურა სხვა და სხვა ქვეყანაში

დღეს ჩვენ გვსურს უპასუხოთ ერთ ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას რომელიმე ბრალდებაზედ.

ხშირად გაგვიგონია ჩვენც, და უთუოდ სხვებსაც, შემდეგი სიტყვები: „რა არი ეგ ქართული ლიტერატურა? რა მნიშვნელობა აქვს მას ხალხისთვის? განა ჩვენი მწერლობა ეხება უმთავრესს საზოგადოების ნაკლულევანებებს? განა ისსძრავს ჭეშმარიტად საინტერესო და სასარგებლო ხალხისათვის კითხვებს? ირკვევს ის უშიშრად ნამდვილ ჩვენი ცხოვრების სიმცირის მიზეზებს და სხ. და სხ.

აი, ევროპიელი ლიტერატურის არსებობა მე მესმის. იქ ნიჭიერი მწერალი თავის ძლიერი კალმით უხატავს მთავრობას და საზოგადოებას მოქმედების ასპარეზს. იქ ყველა უმთავრესი ცხოვრების შესახები საგნები ჯერ ლიტერატურაში გადაწყდება. იქ გაზეთი ნივთიერი და გონებითი ძალაა. საკმაოა, რომ რომელიმე გავლენიანმა ჟურნალმა ორიოდე სიტყვა დაბეჭდოს, და ჰხედავ ურიცხვი ლეგიონები გაჩნდებიან ერთ წამში, რომელიც საკუთარ ყოფა ცხოვრებას, ცოლშვილს და სიცოცხლესაც არ დაიშურებენ, რომ თავის საყვარელი გაზეთის რჩევისაებრ მოიქცენ.

ამისთანა ლიტერატურას, რასაკვირველია, პატივისცემით უცქერის კაცი. იქ მართლა რომ შეუძლია სთქვას მწერალმა: მე ვსწერ საზოგადოებისათვის და საზოგადოება ვალდებულია ყური დამიგდოს მე! ეს არი მოქმედება! ეს არი თავის შრომის გამოყენება ხალხისთვის! თორემ თქვენი მოღვაწეობა და ფაცა-ფუცი, აბა რა სამნიშვნელოა? „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა შინა," რომ იტყვიან, ამას ვამზგავსებ მე თქვენს მწერლობით პროპაგანდა."

დიაღ, ამ გამამტყუნებელ სიტყვაში ბევრი სინამდვილეა. ჩვენც კარკათ გვესმის და აგვიწონია ის მნიშვნელობა, რომელიც ქართულ ლიტერატურას აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრების გასანათლებლათ. ვესმის ისეც, რატომ არ ეფლობთ მთლად საზოგადოების ტვინსა და გრძნობას. მაგრამ ქართული ანდაზა ამბობს: „როდესაც თავგატეხილი შეგხვდეს, სანამ თავგამტეხელიც არ ნახო, მანამდის სამართალს ნუ გადასჭრიო." ჩვენ ურჩევთ ზოგიერთებს ეს ბრძნული ანდაზა სახეში იქონიონ, როდესაც ისინი რომელიმე საქმის განჩინებას აპირებდენ წარმოთქმას.

პირველად, ვიკითხავთ: იციან საფუძველები ჩვენმა ბრალმდებელებმა, რისთვისაც აქვს გავლენა ევროპიელ საზოგადოებაზე მწერლობას? რისთვის ძრწის უზრუნველობაში მყოფი საზოგადოების ნაწილი რომელიმე მკაცრი და ნიჭიერი მწერლის წინაშე?

— ამაზედ მოკლე და გასაგები პასუხია. ევროპიელ მწერალს (ყველგან კი არა, რასაკვირველია) აქვს სრული უფლება და საშვალებაც ილაპარაკოს ყოველ საგანზედ, რაც გინდ მოსარიდალი იყოს იგი. იმას შეუძლიან გამოააშკაროს თვითოეული ბოროტება შეეხება ეს მაღლად მდგომს პირს, თუ მთელს საზოგადოებასაც. იქ მწერალს სავსე აქვს ხელები მომაკვდინებელი ისრებითა. მის აზრს, მის რწმუნებას გზაში ვერ გადაუბოგირდება ვერც ერთი დაბრკოლება. ის თავისუფლათა გრძნობს თავის თავს, რაც უმაღლესს და სამნიშვნელო საგნებზედ არ ლაპარაკობდეს. საზოგადოება გულის ძგერით მოელის მისი საყვარელი მწერლების სიტყვას და დაფასებას ერთს ან მეორე დიდ საქმეზედ. მწერალი ამზადებს საზოგადოების თავს და გულს, როგორ უნდა მიიღოს რომელიმე მოვლინება, რა გზას უნდა დაადგეს და როგორი მოქმედება გამოიჩინოს მან.

ამ ნაირ მდგომარეობაში, ცხადია, რომ ლიტერატურა ერთი უძლიერესს საშუალებათაგანია აზრების მოსაფენად ხალხში. და რისთვის არის იგი ესეთი ყოვლის შემძლებელი?—იმისთვის, რომ თავისუფლად და უშიშრად ჰქადაგებს.

ეს გარემოება ჰხდის მწერლობას ხალისიანათ, გავლენიანათ და ღირსეულათ თავის დანიშნულებისა.

ეხლა აქედამ ჩვენ ლიტერატურაზედ რომ გადმოვიდეთ რას შევხვდავთ?...

ვინ იტყვის, რომ ჩვენ ერთი ზემორე მოხსენებული იარაღთაგანი გვქონდეს საზოგადოების დასაპყრობლად? ვინ გვიბრძანებს, რომ ჩვენ არ ვისარგებლებდით სხვა და სხვა მოვლინებით და არ გამოვხატავდით ჩვენს აზრს, ჩვენს დაფასებას, რომ ზოგიერთი—ჯერ უძლეველი—გარემოებები არ გვაბრკოლებდეს?

რასაკვირველია, ქართულ მწერლობას არ მოეთხოვება არც ევროპიელი ლიტერატურის სიღრმე და სივრცე და არც იმნაირი გავლენა ხალხზედ; მაგრამ არც ჩვენი საზოგადოება ბრძანდება ევროპიელი განათლების ხარისხზედ ასრული, იმედია. მაშ სადაური. საყვედური! სადაური გულძვირობა ვისმესგან?

ვისაც დროში და რა ნაირათ შეუძლიან სასარგებლო შრომა, ისე იმოქმედოს მან ეს უდაო ჭეშმარიტება-უთუოდ, უნდა ესმოდეს ყველას, ვისაც ცოტაოდენი გაგება აქვს...

მეველე.

წვრილი ამბები.

— ჩვენს ყურამდინ მოაწია ოფიციალურად მიღებულმა ამბავმა ჩვენის ქართლ-კახეთის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეზედ: ამ ბანკის წესდება სამინისტროდამ სახელმწიფო რჩევაში განსახილველად წარდგენილი იქნება ამ დეკემ-ბრის თვის დამლევს.

ფელეტონი

გამოსალმება და ქართულათ გზის დალოცვა.—ქართული ალავერდი და რუსული ზედა პოლი—ახალთაობის ჯიშის კაცი და მისი აზრი.—ჩვენი ხალხი და მათ შორის შური.—გურულის იანვარში „ნაბიძგი" და მეგრელის თებერვალზე გარდახტომა.

საღამოს რვა საათი იყო, როდესაც მივედი ჩემ მეგობარ ლევანთან და შევაღე კარი მისი ოთახის. ააა! გაუმარჯოს, გაუმარჯოს! შემომძახა ლევანმა გახარებული: აი და მეგობარო! მეგობრობაც ასე უნდა, დარდიან გულზე შამომესწარი და გამახარე. სად დაიკარგე, კაცო!... შე დალოცვილო, შენც ხვითოსავით ძნელი საპოვი შეიქენ. ეტყობა, სადაც თბილი ბურული გიპოვია, რომ კარში არ გამოდიხარ. დაჯექ და მიანბე ახალზე უახლესი ანბები!

— რაღა დავჯდე, ძმაო, დასაჯდომათაც აღარ მცალია, მეათის ნახევარზე უნდა წავიდე აქიდან; მაგრამ იცი სად? საქართველოში და შენთან გამოსათხოვრათ მოვედი, უპასუხე მე.

— რას ანბობ! შემომძახა ლევანმა, განა ასე ჩქარა მიდიხარ! მაშ კარგი და პატიოსანი. მითხრა ეს და მოისხა თავისი ჩამოგლეჯილი პალტო, წამოავლო ბოთლს ხელი და გავიდა კარში; დიდი ხანი არ გასულა, რომ მან შემოაღო კარი და შემოიტანა ბოთლით ღვინო, პური, ყველი, ძეხვი და სხვა ამ გვარი სამკაულები.

— ხომ იცი, ძმაო, ქართველის გული მაქვს და მინდა რომ შენთან გამოსათხოვარი პური ვჭამო და გზა დაგილოცო. ხომ გაგიგონია: მენავესა, მოგზაურსაო. აბა, ხელათ, გესმის?

ეს ძეხვია ნემეცური,
ხელი მიყავ მიგდე ყური;
ეს ღვინოა, რუსის კვასი,
აბა დალიე და გვასვი.
ვითამაშოთ ჩვენებური
ასკინკა-ბუქნა, ლეკური!

ამ სიმღერით მომიჯდა, მხიარული ლევანი და მეც გარდამიქარვა ფიქრები გულიდგან. შეუდექით კუჭის დაკმაყოფილებას; მაგრამ დიდიხანი არ გამოსულა, რომ წამოიძახა, ლევანმა: ვაჰო, აკი დამავიწყდა! აბა, სტაქანი ხელში! ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ყოველი ახალგაზდა ქართველი, რომელიც გზას ადგეს, ეძებდეს, ენახოს და მიდიოდეს. ალავერდი შენთანა ვარ:

დალიე დამილიევო,
ვა შენ ჭირიმეო.
შენი-შენი ჭირიმე
მაშო-მაშო ლამაზო!

დაიწყო ლევანმა ისევ მხიარულათ და მიჯლიქეა გვერდებში... ამყევი რაღა! რამ მოგაწყინა? რას დაფიქრებულხარ? ასის ნახევარი ორმოცდა ათია და ბოთლის ნახევარი—ორი სტაქანი, ამას რა ფიქრი უნდა?

„Кто живетъ безъ печали и гнѣва
Тотъ не любитъ отчизны своей."

უთხარი მე.

— შე დალოცვილო, შენ გინდა სულ პოეტურათ იმღერო:

„Не разцвѣлъ и отцвѣлъ
Въ утрѣ посмурыхъ дней,
Что любилъ, въ томъ нашелъ
Гибель жизни моей!...."

მე კი ეგეები არ მესმის, რა დროის დაჭკნობაა! ჯერ ყვავილიც არ გვინახავს. ეს კარგი მომაგონდა! მაშ ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ჩვენი ცხოვრების ახალი ყვავილები!

— ნაყოფიც რაღა! დავამატე მე და ალავერდი და იახშიოლით გამოვცალეთ თითო სტაქანი უეცრათ მე და ლევანმა.

ლევანმა ისევ მოყვა თავისებურათ:

„Проведемъ-тежъ друзья
Эту ночь веселѣй.
Пусть насъ братьевъ семья
Соберется скорѣй!" და სხ.

ასე, ძმაოჯან, მაშ როგორ გინდა! ხომ. გაგიგონია:

„Коль любить, такъ всей душой,
А коль пиръ, такъ пиръ горой"!

თორემ შენ რას მოგიწყენია, რა დროის მოწყენაა. ჩვენ გვინდა მხიარულება, ღონე, სიმაგრე და იმედიანათ ყოლისფრისთვის ხელის მოკიდება. მართალია ტეორიაც გვაქვს, არც კეთილი სურვილი გვაკლია მაგრამ დააკვირდი ჩვენ ცხოვრებას და მაშინ გაიგებ, რომ ღონე გვაკლია, ენერგია არა გვაქვს, რომ ჩვენი ტეორია და კეთილი სურვილი ცხოვრებაში პრაქტიკულათ გავიყვანოთ. მაშასადამე ერთი ესეც გადაჰკარი, ჩვენი ტეორიის და კეთილი სურვილის სათაური იქნება და ანგარიშიც ისრე მოვა.

— აამინ, დაიძახა თვითონ ლევანმა და გადაჰკრა ღვინო.

÷

აქვე უნდა თქვას კაცმა, რომ ლევანი მხიარული ხასიათის ყმაწვილი არის, იმას ვერ დააჯერებთ მის დღეში, თუ იმას რამე გაუჭირდება ამ წუთის სოფელში, ის სავსეა იმედით, ჰქონდეს და არა ჰქონდეს მაინც კმაყოფილი და თუ არა აქვს, ის ამბობს, რომ „ჩემი ბრალია, უნდა მემუშავა და მექნებოდაო.. ის ხედავს, რომ ბევრი მუშა და მეცადინი მშიერი დაღოღავს; მაგრამ იმას ეს გარემოება უფრო ამხნევებს და მუდამ შრომა და ბრძოლა აწერია შუბლზე. შესახედავათაც საკვირველი კაცია. ზამთარ და ზაფხულ სულ ერთი და იგივე დაგლეჯილი პალტო აცვია, ჩექმის ლანჩა მუდამ გამოგლეჯილი აქვს, ზამთარში სიცივით ცხვირი წაწითლებული აქვს, მაგრამ ის მუდამ გამართული და თამამათ დაიარება: ვერც სიცივეს და ვერც სიღარიბეს ის ვერმოღუნავს და ვერც დაუმდაბლებია. როდესაც ის დასეირნობს, უნებურათ მოგივა კაცს აზრი: მდიდარო გზა უტიე, ღარიბი დასეირნობსო...

ერთი სიტყვით ეს ის ახალგაზდა ყმაწვილების ჯიშისაა, რომელთაც თავის ბაირაღზე დაუწერიათ:

„სიცოცხლე—შრომა; შრომაში—თავისუფლება და ნეტარება!"

— აბა ერთიც და მერმე მშვიდობით, მომიბრუნდა კიდევ ლევანი. ეს ჩვენი ძმობის და მამულის ახალგაზდობის სადღეგრძელო იყოს, აბა ასწი რაღა!

ურა-ურა! დაიძახა ლევანმა და ააშვირა ღვინით სავსე სტაქანი ზევით; მაგრამ იმას დავიწყებოდა, რომ მისი ოთახის ზედაპოლი, ისე დაბალი იყო, რომ ჰკრა სტაქანი მას და ღვინო თავზე გარდაგვესხა ორივეს. ურა-ურა! დაიღრიალა უფრო გაცხარებულათ ლევანმა. ეჰ, რა ლაზათიანი სადღეგრძელო იყო, რომ ეს რუსული იატაკი არ დაგვეჭირებოდა თავზე.

— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ლევან, შენ მაგიერ საქართველოს მოკითხვა, განა?

— არ არის საჭირო, როცა დრო იქნება და შეძლება, მაშინ მე თვითონ მოვიკითხავ, თორემ ხმელი მოკითხვა მუცლის მატკინარია, მომძახოდა ლევანი.

∴

არ გასულა ნახევარი საათი, რომ მე ვიჯექი უცნობ ხალხში და მაშინა მიმარბენინებდა პეტერბურღიდამ კავკასიაში. ფანრებით გაჩაღებული პეტერბურღი თან-და-თან იკარგებოდა ჩვენი თვალიდან. თვალ უწდომელი მინდვრები თან და თან რჩებოდა; მე არ ვიცი—მიზეზი რა იყო, მაგრამ

— ერთის ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის კამმისიის წევრისაგან მივიღეთ წერილი, რომლითაც ის ამტყუნებს, „დროებას", რომ მან შეპირებისამებრ ბანკის წესდება არ გაარჩია და არ დააფასაო. ყოველივე საფუძვლიანი კრიტიკისათვის საჭიროა, რომ დედენი კაცს ხელში ჰქონდეს. თუ კამმისიას მართლა კეთილი სურს ჩვენის ბანკისათვის, ჩვენ ვურჩევთ მას, აასრულოს ჩვენი თხოვნა, რომელსაც დღეს ვუგზავნით, ე. ი. გარდასცეს ჩვენს თანამშრომელს ნ. ნიკოლაძეს ბანკის წესდების პროექტი. როგორი დასკვნაც უნდა გამოიყვანოს უფ. ნიკოლაძემ ხსენებულს წესდებაზედ ცუდი, თუ კარგი, ბანკისათვის და თვით კამმისიის რეპუტაციისათვისაც სასარგებლო იქნება, ამიტომ რომ, თუ ეს დასკვნა საფუძვლიანი იქნება, ერთ შემთხვევაში წესდების ნაკლულევანებას შეგვავსებინებს და მეორეს შემთხვევაში იმის საფუძვლიანობას კიდევ უფრო გამოააშკარებს.

— შევიტყვეთრომ თელავში საქალებო შკოლა გაუხსნიათ.

— 13 დეკემბერს ერთს პატივცემულს ოჯახში ყრილობა ჰქონდათ ზოგიერთს ქართული სცენის მოყვარე კაცებს, რომელთაც მოლიერის კომედიის „სკაპენის" მაგიერ გეტეს „ეგმონტის" წარმოდგენა იკისრეს. ამ ტრაგედიის წამოდგენა იანვრის დამდეგს უნდა მოხდეს.

— ზოგიერთს „დროების" კორრესპონდენტებს, როგორც იმათ წერილებზედ ვატყობთ, ჩვენი მათდამი მიქცეული წერილი, „დროების" № 33-ში დაბეჭდილი, ისე გაუგიათ, ვითომც რედაქცია იმათგან მათი სახელისა და გვარის ბეჭდვით გამოცხადების უფლებას ითვისებდეს. ამაზედ აი რა უნდა მოვახსენოთ: თუმცა კარგი იქნებოდა, რომ ყველა კორრესპონდენცია ავტორის სახელით ყოფილიყო დაბეჭდილი, მაგრამ ჩვენ ეს უფლება არ მიგვითვისებია; ეს იქიდგან სჩანს, რომ ვინც კი თავისი სახელის ბეჭდვით გამოუცხადებლობა გვთხოვა, იმისი კორრესპონდენცია უსახელოთ იბეჭდებოდა „დროების" № 33-დგან დაწყებული აქამომდე.

— ერთი ჩვენი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ იმერეთში სანამ ძველი ქაღალდის ფულის მსვლელობის ახალი ვადა დაინიშნებოდა, გლეხები ძალიან გაჭირვებულ მდგომარებაში იყვნენო ჩავარდნილი, მეტადრე ისინი, ვინც ქალაქებზედ მოშორებით ცხოვრებდნენ და ნამდვილად არც იცოდნენ, თუ როდის ისპობოდა ძველი ქაღალდის ფულის მსვლელობა. ისინი იძულებული იყვნენ ხშირად ორ-ორ შაურადაც გაეყიდათო მანეთიანი ქაღალდი. ეხლა რაკი ვადა გაგრძელდა, ამ ქაღალდის ფულის მაზანდა ოთხ აბაზ უზალთუნამდის ავიდა და იმედია, რომ ბევრი მატყუარა, რომელნიც აქამდის ხალხის უმეცრებით და მშიშრობით სარგებლობდნენ და ფულებს თითქმის უფასურათ სტყუებდნენ, ეხლა ველარ მოახერხებენ, რადგანაც ვადა მაისამდის განუგრძეიათო. მაგრამ ამ შემთხვევაში „დროებამ" ეს ამბავი ხალხის ყურამდის კი უნდა მიიყვანოსო, რამდენადაც შესაძლებელიაო, ამიტომ რომ „კავკაზში" რუსულად დაბეჭდილი ამბავი ხალხის გასაგები არ არისო.

ეს ძველი ფულების მსვლელობის ამბავი წარსულ ნომერში გამოვაცხადეთ და ამიტომაც კორრესპონდენციის დაბეჭდვა საჭიროდ არ ვსცანით.

— ჩვენ გვინდოდა, რომ უფ. ჭყუსელისა და ბებურიშვილის პასუხად ოზურგეთის შკოლის თაობაზედ ბაასის მომსასპობელი სტატია დაგვებეჭდა ამ ნომერში, მაგრამ უადგილობის გამო შემდეგ ნომრამდის გადავდევით. ვინ იცის, იქნება იმ ნომერში უფ. N-მც პასუხი გასცეს უფ. ბებურიშვილს და მაშინ ვნახავთ, თუ უფ. N-ის პასუხი ჩვენი გუნების იქნა, ჩვენს სტატიას დავიწყებას მივსცემთ და თუ არა და ჩვენი სტატია კორრესპონდენტის პასუხის დამატებად ანუ შენიშნვად გახდეს.

— დაიბეჭდა და მალე დაურიგდება ხელის მომწერლებს „კრებულის" მეათე წიგნი.

შინაარსი: მეფე ლირი, ხუთმოქმედებიანი შექსპირის ტრაგედია, ინგლისურიდგან გადმოღებული ილ. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან.—სახალხო პოეზია, ძველებური მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთვისაგან.—იოანე გუსი, დ. ჩქოტუასი.—დურგალი, ლექსი გ. ჭალადიდელისა.—ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში, ივ. მესხისა.—გლეხური სიმღერები, ილ. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი. სიმღერა, აკ. წერეთლისა.—ნობათი, ფელტონი პეტრიძისა.—„კრებულის" დამატებაში: წიგნი რედაქტორთან და უკანასკნელი სიტყვა, ან. ფურცელაძისა.

უფ. იდიოტებო?

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზოგიერთი „დროების" მომდურავი პირები დიდს აგიტაციაში არიან. ისინი ცდილობენ თურმე, რომ „დროებას" მომავალი წლისთვის ხელის მომწერლები გადაუბირონ. ჩვენ ბევრი ვიცინეთ ამ ამბის შეტყობაზედ. მართლა, ვინ იქნება ისეთი ახირებული, რომ მზგავსი საშუალებით კითხვას თავი დაანებოს? თუ ვისმეს გაზეთი მოთხოვნილებათ არ გადაქცევია, თუ ის თავის ჭკუითა არ დაჩვეულა ამდენს ხანს სიარულს, უნდა გავტყდეთ, ამისთანა მკითხველი ათი ათასიც რომ გვეყოლოს და ყველა ერთ დღეს დაგვეკარგოს არ ვინაღვლებთ.

ეს აგიტაცია ქუთაისის ორი სამი განათლებული (?) პირისაგან არის დაწყებული.

ერთი ვიღაც კიდევ ოზურგეთიდგან გვემუქრება ასე:

„თუ ბიჭი ვარ გაისისთვის ერთ კაცსაც აღარ გამოვაწერინებო „დროებას!"

განა ერთი სისულელის ნიმუში ამას სჯობია, რომ არ ვიცოდეთ, რომ გურიაში დღეს გურიელობა აღარ არის? ჩვენ გვეგონებოდა, თითონ გურიის მთავარი გვირისხდება ასე! არა, ამ უტვინო კაცს ოზურგეთის საზოგადოება თავისმუჭში ჰყავს თუ?

ქუთაისელ „დროების" წინააღმდეგ აგიტატორებზედ რა გვეთქმის ახალი?

ჩვენ კარგათ ვიცოდით და დამტკიცებაც გვაქვს, რომ „დროება" ძალას და გავლენას მატულობს. მაგრამ ეს ფაქტი კიდევ უფრო გვარწმუნებს ჩვენს შეხედულებაზედ და გვიმატებს მნიშვნელობას. სუსტ და უბრალო მტერზე ლაპარაკი ღირს განა თქვენის მხრით? არ ამტკიცებს ეს საქციელი, რომ თქვენი გავლენა საზოგადოებაზედ გაჰქრა და ეხლა, მოახლის ხელობას ჩაჰფრენიხართ?

ოჰ, იდიოტებო!

„დროების" კორრესპონდენცია.

დ. ყვირილა, 30 ნოემბ. 1873 წ.

ამ წელიწადში, როგორც ყველგან ვგონებ, ისე აქაც კამერალური აღწერა იყო. წინეთ კამერალურ აღწერას შეადგენდნენ მთავრობისაგან დანიშნულნი პირნი. ეს უკანასკნელი კამერალური აღწერა სულ სხვანაირად შესდგა. ეხლა ეს საქმე თვითონ საზოგადოებას მიანდვეს.

ოცი გლეხის თავზე თითო გლეხი იყო აღრჩეული. ამათი მოვალეობა მდგომარეობდა, სხვათა შორის, იმაში, რომ მამასახლისის მოქმედებისთვის ყური ედგოთ. ჩვენში კი იმათ მოქმედებას თვითონ მამასახლისი უგდებდა ყურს! მე ერთ-ორ ადგილას ვნახე, რომ მამასახლისი ორ გლეხს, რომელიც ძველ კამერალურ აღწერაში ორათ წერებულიყვნენ, მაგრამ ნამეტანი დალარიბებისაგან ერთად შესულიყვნენ, ათი წელიწადია მას აქეთ, ერთად სწერდა. ეს ოცის თავი თავს იკლავდა და ცდილობდა, რომ ისევე ორათ ჩაწერილიყვნენ ეხლაც. ის ყვიროდა: ოთხი ანუ ხუთი ძმა თუ ერთად სცხოვრობს და [illegible] არიან, ორ გლეხათ უნდა ჩაიწეროსო. თუ ორი ძმა ერთად სიყვარულობით არ სცხოვრობენ, ისინიც ორათ უნდა დაიწერნენო. სანამ კამერალურს აღწერას მიდგებოდნენ, მანამდის გამოცხადება უნდა დაერიგებიათ სოფლებში. ამისთანა გამოცხადებაები ყველა მამასახლისებს ჰქონდა დარიგებული ეკკლესიის კედლებზე მისაკრავად, მაგრამ ეს მამასახლისებს არც კი აღუსრულებიათ. ამ გამოცხადებაში ყველა საჭირო დარიგება იყო კამერალური ჩაწერისა.

ამ კამერალნის შედგენის დროს იმაში მისთანა პირები ჩასწერეს, რომელნიც არ უნდა ჩაწერილიყვნენ. ცხადი უქაზი არის, რომ მღვდლის შვილები თავისუფალნი არიან თავის სიცოცხლეში გარდასახადისაგან, მაგრამ ბევრნი ამისთანა პირები ჩასწერეს. მართალია შეუძლიათ ამათ მეტრიკის მოწმობა წარადგინონ და გამოირიცხონ თავი, მაგრამ მეტრიკის მოწმობას ეხლა „იმდენი დავი-დარაბა უნდა, რომ არც კი ღირს „მისი მოთხოვნა ზოგიერთთათვის.„

ამ კამერალურ აღწერილობასთან იწერებოდა ყოველივე უძრავი ქონება გლეხებისა და ცხოველებიცა. გლეხების ადგილების აღწერას არ ჰქონდა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული და ბევრი გლეხების კუთვნილება სახაზინოთ დაინიშნა. ჩვენში გლეხებს კიდევ არ აქვსთ გაგებული, რომ მამულები ხაზინას ეკუთვნის და არა მათ. მათ ეგონათ, რომ ამ ადგილების გასყიდვაც შეუძლიათ და გასაჩუქრებაც. ეხლა, მადლობა ღმერთს, ჩააგონეს, რომ მათ ეს ადგილები სარჩენათ აქვსთ მიცემული და გასყიდვა და გასაჩუქრება მათი არ შეუძლიათ. მაგრამ როდის ჩააგონებს რამეს მათ კაცი? ასე დახედე მათ უგნურობას, რომ დღემდის კიდევ შინაურული ხახით ყიდულობენ ადგილებს თავადაზნაურებისაგან და სასულიერო პირებთაგან... ნოტარიუსისაგან დამოწმებული ქაღალდის იმედი ისე არა აქვსთ, როგორც მის, რომ გამომყიდველი ხატზე ფიცავს, რომ მისგან გასყიდულ ადგილში ის აღარ გაუწევს დავას. ის კიდევ ვერ გაიგეს საწყლებმა, რომ ფიცს ან გამყიდველი სტეხს ერთ წელს იქით, ანუ მისი შვილები ხელიდამ აცლიან მამისგან მიყიდულ ადგილს. იქნება მისთანა ღვთის მოყვარე გამოვიდეს ვინმე, რომ ამისთანა ნასყიდი ადგილი არ წაართვას, მაგრამ რა გამოუდის საწყალ გლეხს აქედამ? ამ ადგილებს სახაზინოთ ნიშვნენ და მისი შვილები კიდევაც ვერ სარგებლობენ ამ ადგილით....

გული კი არ მწყდებოდა. მხოლოდ ცა მთვარით განათლებული და ვარსკვლავებით მოფენილი იყო ჩვენი მობაასე და ნაღვლიანი გულის პასუხის მცემელი. ვინ იცის რა თილისმური გავლენა აქვს კაცის გუნებაზე უმანკო ბუნებას და როგორ აშორებს ადამაინს, ხანდიხან, ბუნების ჭეშმარიტება ამ ცხოვრების ამაოებას; სული ამაღლებულია, გული თავისუფლათ სცემს და ფიქრები ცადა-ქვეყანაში მოგზაურობენ; მაგრამ ერთი კოღოს კბენაც საკმაოა, რომ მოგაშოროს ადამიანი ამ ნეტარებას და შეგიყვანოს ისევ ცხოვრების კალაპოტში.

„შავი ზღვა, პარახოდი და სოხუმი" ვანბობდი და სიხარულით შევსცქეროდი ამებს, როდესაც პარახოდმა გაგვაჩერა, სიხარულით შევსცქეროდი დიდი ხნით უნახავს, ჩვენებურ ხალხს, რომელიც ჩამოცვივდა მეორე პარახოდში ბარგის გადასატანათ და რომელიც ბორბალივით ტრიალობდა ხან ერთთან და ხან მეორესთან, იქნება ბარგი გადამიტანოს და ორი კაპეიკი მომცესო. ჩემ ბარგსაც მოუწია დრომ და წამოავლო ერთმა მუშამ ხელი, რომელსაც ეტყობოდა მეგრელი უნდა ყოფილიყო; მაგრამ იმავ წამშივე გაჩნდა მეორე, რომელიც გურულათ იყო ჩაცმული და უთხრა: ეს ჩემი რიგია, რომ გადვიტანო და შენ პაწა იქით გაიწიო.

— ვაი წართი, უპასუხა მეგრელმა, გულმოსული, რავა გამოგიპიწკინებია გურულო უკანალა და თავზე დამდგომიხარ, სქანი ნოსას (შენი რძალის) მზითევი გგონია თუ?

— ნოსა კი არა, არ გინდა კიბორჩხალა, შეტრიალდა გურული და წამოავლო ჩამადანს ხელი.

— ქინიკინი ვარა ათეს დუს გეგი ნიგო პირტოლა *), შეუყვირა მეგრელმა, და წამოავლო ხელი კოლოფს.

— შენი გარდანაპირტოლებული კარგი შვილიც იქნება, კილავ, ჩხირივით გაგხმობია კანჭები, იანვარში რომ გიბიძგოს კაცმა თებერვალს თავზე გადაახტები, უპასუხა გურულმა. მობძანდი და გაჩვენებ, რავა უნდა გარდანაპირტოლება, დაამატა მან.

მედინი ეიშო! (დაიკარგე იქით) ჩასძახოდა მეგრელი. ამოგიკრავს უკანალა, გაგექცევა გგონია თუ?

ამ სიტყვაზე გურულს ძალიან გული მოუვიდა, მაგრამ იმითი გათავდა საქმე, რადგანაც პარახოდის კაპიტანმაც მოასწრო და ორივეს დაატოვებია ბარგი.

⁂

როდესაც ამისთანა სცენას ხედავს კაცი, მაშინ ცხადათ გიდგია თვალ წინ ჩვენი ხალხის უხეირო ხასიათი. ეს ერთმანეთის მიუყოლობა, ერთმანეთის დაუნდობლობა და გულსაკლავი უთანხმოება, რომელიც ასე გასჯდომია სისხლში და ხორცში ჩვენ უბედურ ხალხს. თავი დავანებოთ იმ ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ ამტენათ განათლებული არ არის, რომ ერთობის და თანაშემწეობის სარგებლობა ესმოდეს. სამწუხაროის არის, რომ ჩვენ საზოგადოების ყოველ ნაბიჯში ეს უთანხმოება და ერთი ერთმანეთის უთავბოლო ჯინი სჩანდა ამ უბედურ თვისებას ცოტა დაბრკოლება არ მოუცია ჩვენი უბედური ბედისთვის. გადის დროჟამი და ვხედავთ, რომ ყოველი ხეირიანი ხალხის ცხოვრება უმჯობესობს ერთობით, ძმობით და საზოგადო ინტერესით, ვხედავთ, რომ ერთის კეთილი დღეობა შეუძლებელია, თუ საზოგადო არ კეთილდღეობს. ვხედავთ ცხოვრებაში, რომ ერთი მისდღეში არ ნეტარობს, იქ სადაც ასი-ათასი იტანჯება; მაგრამ ჩვენ ისე გაუტაცებვიართ ბრმა ინტერესს, რომ მუდამ ერთმანეთს სულს ვაძრობთ. ენით სხვას ვანბობთ ყველანი თითოეულათ და ნამდვილ კი ჩვენი ბედისთვის დაგვიწერია „დაცალკავებული ერთობა". ეს ხომ ახალი ამბავი არ არის ჩვენ ცხოვრებაში და არც ერთჯერ გაგვიგონია ამაზე ლაპარაკი; მაგრამ, რაც გვტკივა, კიდეც, იმაზე უნდა ვილაპარაკოთ. სანამ ავათმყოფი არ მორჩება, ის მინამ ექიმს თავის ავათმყოფობაზე ეუბნება; მაშასადამე ჩვენც ველაპარაკოთ საზოგადოებას, რომელიც თვითონ უნდა იქნეს თავის სატკივრის ექიმი.

ამაზე მაგონდება ერთი ძველი ისტორია, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ერთი ფილოსოფოსი ეუბნებოდა თურმე ერთხელ, თავშეყრილ თავის მემამულეთ თავის სამშობლოს სინაკლულეზედა იმის გაუმჯობესობის საჭიროებაზე. იმან შენიშნა, რომ ხალხს მოსწყინდა და მთქნარება დაიწყო. მაშინ იმან უცეფ გარდუხვია თავის საგანს და მოჰყვა ის ზღაპარი, თუ როგორც ვირი და აქლემი წაიკიდენ. ამ ამბავმა ისევ გამოაფხიზლა ხალხი; მგრამ ჰკითხეს მას: თქვენ აქამდინ ჩვენ საჭიროებაზე გველაპარაკებოდი და ახლა ეს ზღაპარი რათ ჩამოაგდეო. მაშინ იმან უპასუხა: თქვენ გეტყობათ ვირებზე ლაპარაკი უფრო მოგწონთ, ვინემ საზოგადოების საჭიროებაზეო. მართალია ახლა ფილოსოფოსი ერთის მეტი არა გვყავს, მაგრამ ის ძველი დროც წასულია და სირცხვილიც იქნება, რომ ამისთანა მაგალითი მოხდეს ხოლმე საზოგადოებაში. მაშ ისევ სჯობია ვირებზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და ჩვენი დღიური საჭიროებაზე ვილაპარაკოთ. თავი დავანებოთ უთანხმოებას, ახალი და ძველი თაობის ჯიშს და დაუნდობლობას. მივენდოთ ჭეშმარიტებას, ესე იგი რომელ თაობამაც საფუძვლიანათ რამე დაგვიმტკიცოს იმისი თანახმა ვიქნეთ. რასაკვირველია „ჰერი-ჰობით" დამამტკიცებელი ბევრი გამოჩნდება; მაგრამ, ესეც უნდა თქვას კაცმა, რომ ძნელი საფიქრებელია, რომ ჩვენი საზოგადოება ისე მიუმხვდარი იყოს, რომ ზრუნდე და სწორე ვერ გაარჩიოს, თუ მათგანმა ყველამ არა, ზოგიერთებმა მაინც.

სირიაჩქონელი ქიშვარდიანი.

გამბორი 21 დეკემბ. 1873 წ.

---

*) დაიწი თორიმ ამას თავზე გადაგამტვრევ.

ან კი რა უნდა ქნას საწყალმა გლეხმა? ორი თუმანი იშოვა ძლივს და იმითი ადგილი იყიდა. სად უნდა იშოვოს ოცი მანეთი ანუ მეტიც, რომ კანონიერი ნასყიდობა შეისრულოს?

ყველამ ვიცით, საბატონო გლეხი თუ თავს დაიხსნიდა თავის მებატონისაგან მთავრობისათვის სასიამოვნოც იყო. ბევრ გლეხს ისეთი გაჭირვება ადგა თავის მებატონისაგან, რომ იმას წონით ფულს აძლევდა, ოღონდ კი გათავისუფლებულიყო მისი მონებისაგან. 1864 წლამდე მართლა ბევრმა გლეხმა დაიხსნა თავი და ბევრი ფულები მისცეს თავის მებატონეს თავის და ადგილების სახსარი. ამისთანა შემთხვევაში გლეხები მიიქცეოდნენ ხოლმე უჩასტკის ნაჩალნიკებთან. უჩასტკის ნაჩალნიკები თვითონ უწერდნენ მათ განთავისუფლების ქაღალდს. ამ ქაღალდში იყო დაწერილი, შემოკლებით რომ ვსთქვათ, ის, რომ მე შენმა ბატონმა ავიღე ჩემი გულის საჯერო ფულები შენ ჩემი ყმისაგან და განმითავისუფლებიხარ ყოველი უძრავი და მოძრავი ქონებით, რისაც მქონებელი ხარო. ამისთანა ქაღალდს ჯერეთ უჩასტკის ნაჩალნიკი ამოწმებდა და ბოლოს ღუბერნსკის სასამართლოში ჩაიწერებოდა ეს ქაღალდი. მთავრობა ამ ქაღალდში არაფერ უწესოებას არ ხედავდა. დღეს ამისთანა ქაღალდებით გლეხი კაცის შეძენილი ადგილები სახაზინოთ ინიშნება. რისთვის? მისთვის, რომ ამ ქაღალდებში დაწვლილებით ყველა ადგილები არ არის აწერილი და არც ზომა არის გამოცხადებული. ერთმა გლეხმა ტირილი დაიწყო, რომ უთხრეს, შენი ადგილები სახაზინოთ უნდა დაიწეროსო. ბოლოს აუხსნეს, რომ შენ კი არ ჩამოგერთმევაო, მაგრამ ამ ადგილებს ვერც გასყიდი და ვერც გაასაჩუქრებო. გლეხმა ღიმილით სთქვა: გაჩუქებას რას დავეძებ თუ მე არ წამერთმევაო. მეტი რა გაეგება საწყალს!...

შ—ელი.

წიგნი რედაქტორთან.

ამ წლის, 30 ნოემბრის „დროების“ ნომერში ვიღაც N იწერება ოზურგეთიდამ, რომ ოზურგეთის საზოგადოება იმათ აღარა ღირს, რომ ამოდენი კორრესპონდენციები წამოვიდეს თქვენამდისო, რომ ამ საზოგადოებაში არა თუ არა ვითარი შესანიშნავი არა არის რა, არამედ სულის ფეთქაც და სიცოცხლეც არა სჩანს არ სადო.

ჩვენი საქმე ის არისო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ მწვანე სტოლებს შევექცეთ მრთელი ღამეობით, ბილიარდის ბურთები ვაგოროთ, შავი ღვინოთი კარგათ ჩავიღებოთ ყელები, (დაილოცა მისი ენა მჭევრობა და სამშობლო ენის ცოდნა!), ახალციხური ძეხვებით ავიმსოთ უმისოთაც წამოგორებული მუცლები (ეგ ხომ წმინდა მხატვრობაა) და სხ. და სხ.

შემდეგ ამისა მეცნიერი კიდევ ღრმათ ჩაფიქრებულა და ასე განუსაჯავს, რომ ამ მშვენიერად აღწერილს საზოგადოების სურათსაც ფაქტები სჭირიაო, და მოსდებია ფაქტებს საუცხოვო დალაგებით: “შკოლას კარგი სახლი შეეძინა, რომელსაც მისი გადმომცემელი, როცა მოესურვება მაშინ დაარღვევს, ბავშვებს კარში გამოყრის.... როცა იქ სახლის გადმომცემს მოესურვება ბაღის გაშენება..... „ფულებს თუ იტყვი, ფულები, რაც კი შეიკრიბა სხვა და სხვა წარმოდგინებებიდგან, ჩემის აზრით არა ნაკლებ 400 მანეთისა, ის ან ბანქოში დაიფლანგა, ან უფ. ბებურიშვილს შეაჭამეს, ან ვინ იცის სად გაქრა, ეს მარტო ეშმაკებმა უწყის.“ შემდეგ კორრესპონდენტი ამბობს თ. გრიგოლ გურიელის ქებას, რომელსაც, მხოლოდ კორრესპონდენტის აზრით, შკოლის საქმეზედ ხელი აუღია და შვიდი თუმნის წლობით შემოტანა განუცხადებია და სრულიად უსაფუძლოთ აძაგებს მასწავლებელს.

უნდა მოგახსენოთ, უფალო რედაქტორო, რომ ამ კორრესპონდენტს არ სცოდნია ვალდებულობა კორრესპონდენტისა, პატიოსანი მწერლისა, არ სცოდნია და არ ჰყვარებია ჭეშმარიტება, არ შესძლებია კეთილშობილურად მეტყველება და, უკაცრავად თუ არ ვიქნები, ცოტა სინიდისზედაც ნაკლებათ ყოფილა. ასე გასინჯეთ, ამ ბოლო დროს სალაპარაკო საგანიც ველარ უპოვნია, დედაბრის ძველი ლეჩაქი დაუხურავს თავზედ და ქუჩა-ქუჩა დაეტარება ჭორების შესაკრებად.

მწერალი და მეტადრე კორრესპონდენტი უნდა ატყობინებდეს რედაქციას ისეთ მოვლენას და შემთხვევას, რომელიც არის საზოგადოების ცხოვრების, ასე ვსთქვათ, ძარღვი, რომელს შემთხვევას დიდი გავლენა, ბედი ან უბედურება ექნება შედეგათ ხალხისათვის; ის უნდა მისდევდეს დროს და ერთობით საზოგადოებას, მის ხასიათს და არა ორს-სამს კერძო პირებს, რომელთაც ხანდისხან მწვანე სტოლზედ და ბილიარდზედ თამაშობით და, თუ გინდა, კარგი ღვინის დალევითაც არა ვითარი ვნება არ შეუძლიან საზოგადოებისათვის; მეტადრე იმ გვარ საქმეში, რომელიც შეეხება შკოლის საქმეს და რომელშიაც მათ არა ნაკლებად სხვისა შეუწირავს ხვედრი და უშრომიათ.

უფალი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ოზურგეთის საზოგადოებაზედ რომ რამე დასწეროს კაცმა არ ღირსო. ჩვენ მაგ აზრის თანახმაც გავხდებით, ოღონდ უფალი N და მისთანაები ნუ აწუხებენ მკითხველებს ამგვარი უხეირო სიტყვებით და ჭორებით. თუ არ ღირს ჩვენზედ რაიმეს დაწერა, ვინ ეხვეწება, თქვენი ჭირიმე? ის არა სჯობს, რომ შინ ბრძანდებოდეს თავის თავქარიანობაში და სიჭუჭყეში ჩაღრმავებული, გინა ჩაძინებული. კარგი ხუმრობა არის, ამგვარი კორრესპონდენცია მწერლობა თუ ჰგონია და იმისათვის გამოდის სალამოს ლამურასავით და ამაყობს: მე გახლავარ სტატიების მწერალიო, პუბლიცისტიო.... ფიცით შეგვიძლიან და თუ არ დაგვიჯერებენ ფიცში ჩავიყოლიებთ ყველას, ვისაც რაოდენიმედ კი ესმის ენა და მწერლობა, რომ მის ნაჯღაბნში არა ვითარი ლიტერატურული ნიჭი, ენის ცოდნა და მწერლობითი ღირსება არ იყოს და ბოლოს იმასაც მოვახსენებთ, რომ მის სიტყვებში იოტის ოდენი სიმართლე არ არის და ტყუილად ატყუებს იმათ, ვინც არ იცის ამბავი და ვერ იცნობს ჩვენს საზოგადოებას.

შკოლის საქმე სწორედ ექიმმა, უფალმა გამრეკელოვმა, დაიწყო პირველად და, რაოდენათ ჩვენ ვხედავთ, პატიოსნად და შეძლების გვარად ცდილობდა ამ საქმის წარმატებას, სანამ არ გადაიყვანეს ახალციხეს. იქნება კორრესპონდენტმა ესეც საწყენად ჰპოვოს, უფ. გამრეკელოვი რათ გადავიდა ახალციხეს, იქ ძეხვები არისო და იმას სჭამენო. სახლის გადმომცემელმა (ეს სიტყვა კორრესპონდენტმა მასწავლა), სწორედ საუცხოვო საქმე ქნა, მაგრამ ამ გვარი ყბედობით ისე მოაძულებენ იმას თავს, რომ მის კეთილ განზრახვას უკუ-აქცევინებენ. რა უნდათ მისგან? კორრესპონდენტი ამბობს, რომ მას (სახლის გადმომცემელს) შეუძლია როცა უნდა მაშინ დაარღვიოს სახლი და ბავშვები გარეთ გამოყაროსო. ამ აზრის ის კაცი არაოდეს არ ყოფილა, თუ ეხლა N არ მოაფიქრებიებს და ნოტარიუსის წესით დამტკიცება, ვგონებ, არ გვითხოვია მისგან.

წარმოდგენიდგან მოგროვებული ფულები 400 მანეთამდის არაოდეს არ ყოფილა. სულ ყველა წარმოდგენიდგან, სანამ უფ. ბებურიშვილი ავათ გახდებოდა, ე. ი. 1871 წლამდის, შესდგა ას ათი მანეთი, რომელიც ებარა ყოვლად ღირსიულ დედაკაცს და რომელშიაც ის პატიოსანი ქალი დღესვე უჩვენებს ანგარიშს იმათ, ვისაც სურს მაგრამ ეს ანგარიში თვითონ თქვენ გვარი ოხუნჯი მწერალისათვის საწყენი იქნება, რადგან აღმოჩნდება, რომ ერთ ოხუნჯ მწერალს წაუღია ექვსი თუმანი რეპერტუარებს გამოვაგზავნიო და დღესაც იმისი სიზმარი ცხადი არ სჩანა. უფ. ბებურიშვილმა მისი ფული თუ წაასაკრა წარმოდგენის დროს, რადგან ეს საქმე თითქმის პირველი დაწყება იყო ოზურგეთში, თორემ მოგროვებული ფულებიდგან მას ერთი დენეშკაც არ შეუჭამია და არც მართებს; დასამტკიცებელად ამისა ჰკითხეთ ვინც წარმომდგენლები იყვნენ, ვისაც ფულები ებარა და უფ. მამულაიშვილს. შემდეგ 1871 წლისა ბებურიშვილმა არც წარმოდგენისა იცის რა და არც ფულებისა.

ყოველივე ეს ფაქტები, რომელიც მე ეხლა მოგახსენეთ, ისეთი ჭეშმარიტება არის, რომ ვერც ბატის კალამი შეგვაშინებს და ვერც რკინისა. დასამტკიცებლად შავისა და თეთრისა, თუ ჰნებავსთ უფ. კორრესპონდენტს, ვიძიოთ სულ ყოველივე, მაგრამ იმ პირობით, რომ ლანძღვისა და ცილის წამებისათვის შემდეგ ჯეროვანი სასჯელი მიიღოს ცრუ-მეტყველმა და ყოველთვის აღარ დაგვემალოს უცნობი ანბანებით და გამოაცხადოს თავისი ვინაობა, მით უმეტეს, რომ ჩვენ გვსურს შევიტყოთ: ვინ არის ისეთი კაცი, რომ ასე გულმტკივნეულად შესცქერის საზოგადოებას, რა მონაწილეობას მიიღებს ხოლმე ის თვითონ საზოგადოებაში და კეთილ საქმეებში, მარტო სიტყვით კი არა, არამედ საქმით?

ეტლია ბებურიშვილი.

ოზურგეთი, 8 დეკემ. 1873 წ.

უცხო ქვეყნები.

საფრანგეთი.

საფრანგეთის უკანასკნელი ამბები ეს არი: ოთხი რესპუბლიკელი კანდიდატი ამოურჩევია ხალხს ნაციონალურ კრებაში. ხალხს მეთორმეტეჯელ გამოუცხადებია თავის თანაგრძნობა რესპუბლიკელი წესისადმი. მონარხიელები ყოველთვის სირცხვილეული რჩებიან დამატებითს გამორჩევებში.

ეხლა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ საფრანგეთს მტკიცეთა სურს თავისუფალი ცხოვრების დამყარება თავის სამშობლოში, ე. ი. რესპუბლიკა. მაგრამ ვერსალის შემთქმელები ამითი არ ჰკარგვენ იმედს და ათას საშუალებას ეპოტინებიან, რომ მონარხიის მობრუნება შესაძლოთ გახადონ. ამ გაჯიუტებულს საფრანგეთის სურვილის ყალბ წარმომდგენელ კაცებზედ მხოლოდ ერთი რამე ითქმის: ბრიყვი მიუშვი ნებასა თვით შეეყრება ვნებასა. სანამ ნაციონალური კრება თავის დასაკლავ დანას არ გამოჩხრეკს, მანამდის არ მოისვენებს და რომ ის ამ დანას ადრე თუ გვიან გამოსძებნის, ცხადია.

ყოველ მოთმინებას სამზღვარი აქვს. ყოველს მოქმედებას ზომა. ხშირად, როდესაც მართებლობანი გადახდებიან თავის მოვალეობას, მაშინ ხალხი ზღვასავით ერთბაშათ იფურთქნებს, და ამხობს თავის დამჩაგრელს წესებს და კაცებს. ასეთია ისტორიელი კანონი, და ისე ხშირად განმეორდება ხოლმე, რომ ამაზედ დაობა შეუძლებელია.

ბაზენის სასჯელის შემსუბუქებას ძალიან ცუდი გავლენა მოუხდენია საფრანგეთში. მართებლობის გაჭირვებული ავტორიტეტი ეხლა სულ დავარდნილა ხალხის თვალში. მაკ-მაჰონს პირდაპირ მიდგომას სწამობენ. ეს გარემოება დიდათ შეჰკვეთს ფრთებს მარშალის პატიოსნების სახელს. ამას გარდა ერთი გავლენიანი კაცის მნიშვნელობა სრულიად მოსპობილა ამ გაზეთის საქმის გამო. ეს კაცი უ. ტიერია. ადრიდელ რესპუბლიკის პრეზიდენტს სურვებია მართებლობისთვის, რომელსაც ის პირად მტრათ სთვლის, უსიამოვნება შეეხვედრებინა. ამ აზრისთვის ის ბაზენის სანახავად წასულა საპყრობილეში და თავის თანგძნობა განუცხადებია მისთვის. ტიერს აღიარა, რომ ბაზენი უბრალოაო, რომლისთვისაც დამნაშავეს ადვოკატმა ლაშომ მადლობის წიგნი მისწერა.

ამ მოქმედებით „საჭირო“ ერთხელ „კაცი“ უ. ტიერი სრულებით გაისვარა ხალხის თვალში. ტიერის ამ ნაირი ვოლტ-ფასტები ახალი არ არის, მაგრამ, რომ არც მას ესარგებლება ეს!

მან განსჯა ერთი გარემოება მართებლობის წყენა, მაგრამ ფასზედ, რომელიც მან ამ წუთისთვის გამოიღო, ეს კი ველარ აუწონია განთქმულს ჩვენის დროის დიპლომატს.

აი ამისთანა პოლიტიკურ ჭკუას თაყვანს სცემდა რამდენიმე თვის წინ ლეგიონი მწერლები და გაზეთები.

ჩვენ მისდაფასებას არ შეუდგებით ეხლა. „დროებას“ რამდენიმეჯელ წარმოუთქვამს თავისი აზრი ამ მუცელში წამხდარს ვაშინგტონზედ.

ბაზენის საქმის გათავება

დღეს სალამოს, მეცხრე საათის ნახევარზე გათავდა საქმე, რომელიც ამ უკანასკნელის თვე-ნახევრის განმავლობაში მთელ საფრანგეთს აღელვებდა, რომელიც ფრანცუზებს მუდამ დღე წარსული ომიანობის უბედურებას, გარეშე მტრებისაგან დამარცხებისა და შინაურ თავის მოთავე კაცებისაგან ღალატსა და სამშობლოს გაყიდვას აგონებდა; გათავდა საქმე, რომელმაც მთელი ქვეყანა დაარწმუნა, რომ საფრანგეთის უკანასკნელი დამარცხება იმდენათ გერმანიის ჯარის სიმხნევეს, ბისმარკის დიპლომაციას და მოლტკეს სტრატეგიას არ უნდა მიეწერებოდეს, რამდენათ ნაპოლეონ მესამის მმართველობისაგან გაფუჭებულ-გარყვნილ სარდლების ხასიათსა და იმათ მამულის ღალატს; საქმე, რომლიდამაც ცხადათ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ჯარი ლომივით იბრძოდა და თუ აგებდა ომებს, ეს უფრო იმის უნიჭო და სამშობლოს გამყიდველ სარდლების ბრალი იყო და არა თვითონ ჯარის სიძაბუნისა.

მარშალს ბაზენს ამ ხრით უმთავრესი და უსამაგლესი ალაგი უჭირავს წარსული ომიანობის ისტორიაში.

დღეს იმას ყველა სამხედრო ღირსების ჩამოხდა და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტე.

ყველამ იცოდა, რომ ეს საშინელი დრამა დღეს უნდა გათავებულიყო ტრიანონში. პარიჟიდამ აუარებელ ხალხი მოაწყდა. სამი სხდომის განმავლობაში, დილის ცხრა საათიდამ ვიდრე სალამოს რვის ნახევრამდი ტრიანონის უშველებელი ზალა სავსე იყო მაყურებლებითა. რაღაც უცნაური განგების ძალით, ბოლოს, როგორც იყო, მეც მეღირსა ამ უკანასკნელ სხდომაზე დასწრობა.

ნასადილევის ორ საათზე ბრალმდებელსა და დამცველს შუა ბაასი სრულიად გადავიდა. ღენერალი პურსე (მმართებლობის წარმომადგენელი—ბრალდებელი) მტკიცეთ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, ამტკიცებდა რომ ბაზენმა არ იხმარ ყველა ის ღონისძიებანი, რომელსაც კანონი თხოულობს, სანამ რომელსამე სიმაგრე დაუთმობს ციხის უფროსი მტერსაო. ლაშო, ბაზენის დამცველი, ჩახჩუებული, მტრალი ხმით, ხელების შლით, ფეხების ბაკუნით, ქრისტეს სურათზე ჩვენებით ამტკიცებდა, რომ ბაზენი უმანკოა, რომ გამბეტას, რომელმაც პირველად წარმოსთქვა იმის ღალატი, ეხლა სინიდისი უნდა ამხილებდეს და სხ. უკანასკნელად თვითონ ბაზენმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები:

„ორი სიტყვა მაქვს მე გულში ამოჭრილი: პატიოსნება და მამული. ორმოცდაორი წლის განმავლობაში ვემსახურები მე საფრანგეთს და არასოდეს არ მიღალატნია ამ ორი საგნისთვის. ქრისტეს სახელს ვფიცულობ, რომ მე არ გამიყიდია ჩემი ქვეყანა!“

საზოგადოებამ ეს სიტყვები სიცილით მიიღო.

ბოლოს, ერ საათზე, ომალის პრინცმა, სამხედრო რჩევის თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ „რჩევა საქმის გადასაწყვეტათ მეორე ოთახში მიდისო.“

ცრა სათს თხუთმეტი მინუტი აკლდა, როდესაც რჩევა დაბრუნდა საზოგადო ზალაში და თავს-მჯდომარემ წყნარის, ღრმა ხმით წაიკითხა სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომ „სახელითა საფრანგეთის ხალხისათა“ (Au nom du peuple Fançais) სამხედრო რჩევამ გარდაუჭრა საფრანგეთის მარშალს, ფრანსუა-აშილ ბაზენს, ერთ ხმით, სიკვდილით დასჯა და სამხედრო ღირსების ჩამოხდა“ Le conseil condamne, à l' unanimité à la peine de mort, avec dègradation miltaire).

ადამიანს ადამიანის სისხლი და მოკვლა ბუნებითად ეზიზღება. მაგრამ ძნელად წარმოსადგენია ის კმაყოფილება და ის სიხარული, რომელიც ამ გადაწყვეტილებამ აღძრა იქ დამსწრე საზოგადოებაში. ჯერ თვითონ განჩინების კითხვის დროსაც ვერ შეიკავა საზოგადოებამ თავი და სიხარულის ხუმი ხრიალი შეიქნა; მაგრამ, როდესაც თავს-მჯდომარემ განჩინების კითხვა გაათავა და სთქვა“ Sa seance est levée“ (სხდომა გათავებულიაო), ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ, საშინელის კმაყოფილებით, ხმა მაღლა ლაპარაკით, რჩევის ქებით და ბაზენის გინებით გამოვარდა გარეთ და ეზოში ერთი ყაყანი შეიქნა.

ყველას სახეზე განუზომელი სიხარული ეწერა, ყველა სიამოვნებით ართმევდა ერთ

მეორეს ხელს და უღრცავდა, თითქო ამ წამს საფრანგეთის მხსნელი და გამაბედნიერებელი დაბადებულიყვეს.

მაგრამ, როგორც სჩნს, ხალხის თვალში ქვეყნის დამღუპველის მოკვლასა და თავიდამ მოშორებას თითქმის იმნაირივე მნიშვნელობა ჰქონია, როგორც უბედურებისაგან დამხსნელის დაბადებასა.

ს. მესხი

პარიჟი 10 დეკემბერს, 1873.

რუსული გაზეთი

„თფილისის მოამბე"

1874-ში გამოიცემა იმავე პროგრამმით, იმავე დროს და იმ ფორმატით, როგორც ამ წელს გამოდიოდა.

ხელ-მოსაწერი ფასი:

გაუგზავნელად: ერთის წლის—შვიდი მანეთი და ნახევარის წლით—ოთხი მანეთი.

გაგზავნით: ერთის წლით—რვა მანეთი და ნახევარის წლით—ოთხი მანეთი და ნახევარი.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ზუბალოვის სახლებში, ქალაქს.

„მშაკი"

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის კვირაში ერთხელ

1874-ში გამოვა იმავე პროგრამით და მიმართულებით, როგორათაც აქამდის გამოდიოდა. ფასი გაზეთისა; გაუგზავნელად და გაგზავნითაც ერთის წლისა—ხუთი მანეთი, ნახევარის წლისა—სამი მანეთი. ხელის-მოწერა მიიღება თფილისში, „მშაკის" რედაქციაში, აგრეთვე მ. წატუროვის მაღაზიში, შაბუროვის სახლებში.

რედაქტორი და გამომცემელი დოკტორი გრიგოლ არწრუნი.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію армянской газеты „Мшакъ"*

თფილისის სავაჭრო ბანკი

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი ამას იქით, ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

იღებს

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში, რომელთაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში იღებენ . . . . 8 %

2.) რომელთაც სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში არ იღებენ . . 10 %

ვექსილების დაცვლაში

3.) სამთვემდის 9%

4.) ექვს თვემდის . . . . 10 %

იხდის

ა.) ხელად მიბარებულ ფულში . . . . 5 %

ბ.) შესანახად მიბარებულში
- მოთხოვნამდის . . . . . . 6 %
- ექვსი თვით . . . . . . 6½ %
- ერთი წლით . . . . . . 7 %

გ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში—სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადობრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინასთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთი წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

თფილისის სავაჭრო ბანკში

ამა და ამ კაცისაგან.

განცხადება

გიგზავნით ამასთანავე ამდენსა და ამდენს მანეთს, და გთხოვთ, მიიღოთ ეს ფული სამთავნო შესანახად ამ ვადით ან (მოთხოვნამდის, ან ამა და ამ პირობებით) და გამოგზავნოთ ბილეთი ჩემს სახელზედ დაწერილი (ან ამა და ამ კაცის სახელზედ, ან წარმომადგენელისთვის) ამა და ამ ადრესით.

რიცხვი, თვე და წელიწადი, ხელ-მოწერა და საცხოვრებელი ადგილი.

НОТАРІУСЪ

Меликъ—Каракозовъ открываетъ нотаріальныя дѣйствія съ 22 Ноября въ конторѣ своей, находящейся возлѣ Эриванской площади, въ домѣ доктора Іоанисіани, подъ коммерческимъ банкомъ.

ნოტარიუსი

მელიქ-ქარაკოზოვი იწყებს ნოტარიალურს მოქმედებებს 22 ნოემბრიდამ თავის კანტორაში, რომელიც იმყოფებ ერევნის მეიდნის მახლობლად, დოქტორის იოანისიანის სახლებში, კომმერციული ბანკის ქვეშ.

ისყიდება

თფილისში, ვართანოვის წიგნების მაღაზიაში, ხიდზე და [illegible] ქარვასლაში, პოლიციის გვერდით და აგრეთვე სხვა ქალაქებში:

თ. გრიგოლ ორბელიანის

ლექსები

ფასი ათი შაური.

სიბრძნე სიცრუის წიგნი

საბა ორბელიანისა.

მეორედ გამოცემული.

ფასი ათი შაური.

ქალაქს გარეთა მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირ-და-პირ გამომცემლისაგან დაიბარონ ამ ადრესით:

თფილისს, პეტრე უმიკაშვილს ანჩისხატის ქუჩაში, ხერხეულიძის სახლში.

ამ ახლო ხანში საზღვარს-გარეთიდამ მოსული ინჟინერი იღებს წყლის ამყვანი მაშინების მოწყობას ყანებისა და ბაღების მოსარწყავად. მარტო ბორბლების შემწეობით, უსაქანელოთ, იმას შეუძლიან წყალი თერთმეტი საჟენისა და ნახევრის სიმაღლეზედ აიყვანოს. ამ გვარი წყლის ასაყვანი მაშინა ძალიან იაფათ ჯდება, ეხლანდელი საშუალებების შედარებით. ადრესის შეტყობა შეიძლება გაზეთის „კავკაზის" რედაქციის კანტორაში.

ВЪ КАБИНЕТѢ моемъ, находящемся на Армянскомъ базарѣ, въ Каравансараѣ генерала Арцруни, составляются проекты всякаго рода нотаріальныхъ и домашнихъ актовъ, а также и дѣловыя бумаги, какъ-то: прошенія, аппелаціи кассаціи и проч.

Петръ Чарековъ.

ადვოკატი

დგას არსენალის ქუჩაზედ, მღვდლის არდაზიანის სახლში. შეიძლება ნახვა ცხრა საათიდგან დაწყებული ორ საათამდის დილით, და ოთხიდამ ექვსამდის საღამოს.

„დროება". 1873, № 403

ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 21 დეკემბ. 1873 წ.

რკინის გზა

ა) თფილისიდამ	დილა	საღამო
თფილისი	8.18	8.17
მცხეთა	9.18	10.—
გორი	11.39	1.43
სურამი	1.52	4.30
ყვირილა	6.49	
ქუთაისი	7.55	
სამტრედია	9.02	
ახალ-სენაკი	10.02	
ფოთი	11.27	
ბ) თფილისისკენ	დილა	
ფოთი	7.38	
ახალ-სენაკი	9.11	
სამტრედია	10.12	
ქუთაისი	11.17	
ყვირილა	12.38	დილა
სურამი	4.57	7.15
გორი	7.23	10.12
მცხეთა	9.52	1.49
თფილისი	10.49	3.13

გ) ფასი თფილისიდამ	Iკლ.	IIკ.	IIIკ.
მცხეთამდი	90	68	38
გორამდი	3.20	2.40	1.33
სურამამდი	5 22	3.92	2.18
ქუთაისამდი	9.—	6.75	3.75
ფოთამდი	13.1	9.75	5.42

ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაფ. შუადღეზე.
სტამბოლს—კვირაობით შუადღეზე.
სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაფათს, ღამე.
ოდესას—პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:
ასტრახნისკენ—
ასტრაბადისკენ—

ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

	მ.	კაპ.
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს	—	50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	3	—
ვენას, ავსტრიაში	2	75
გერმანიაში	2	63
იტალიაში	3	50
საფრანგეთში	3	38
შვეიცარიაში, ოსმალეთში	3	—
ინგლისში	4	—
საბერძნეთში	3	25
სპარსეთში	5	76

ფოშტა

ა) თფილისიდამ:

რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდ.
ქუთაისს: ყოველ-დღე კვირას გარდ.
კახეთს, ოზურგეთს, ზუგდიდს: პარასკ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ.
ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდე)

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და შაფათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (საღამომდე.)

გ) გორიდამ.

ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)

დ) ფოთიდამ:

ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

	კაპ.
ღია წიგნის რუსეთში	5
დაბეჭდილი წიგნის რუსეთში	10
საფრანგეთში	20
გერმანიაში	14
ინგლისში	20

ბირჟა

ბირჟა	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთი 4% (1858)	—	—
ბანკის ბილეთი 5% (1860)	96	50
მოგებიანი (პირველი სესხის)	161	50
მოგებიანი (მეორე სესხისა)	158	—
ოქრო (პოლუიმპერიალი)	6	20
კ ურ ს ი		
ერთ მანეთში იძლევიან.		
ლონდონში	32 2/3	პენ
პარიჟში	342	სან
ვენაში	—	—
ესკონტი (სარგებლის ფასი)	7¼	—
გირაოს ფურცლები:	—	—
ხერსონის ბანკისა (5½)	87	—
ხარკოვის (6%)	85	75
მოსკოვის (5%)	88	25
კიევის (6%)	—	—
აქციები:		
შავიზღვის ცეცხ. გემების	570	—
კავკაზის და მერკურის	182	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	128	—
თფილისის სავაჭრო ბანკის	—	—
ოდესის სავაჭრო ბანკის	280	—
„სალამანდრასი"	325	—
კამპანიის Двигатель.	100	—
პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ.	650	—
მეორე უზრუნ. მყოფი საზ.	192	50
პეტერბ. უზრუნვ. მყოფი	288	—
მოსკოვის უზრუნვ. მყოფი	286	—

თფილისის მაზანდა

თფილისის მაზანდა	მან	კაპ
პური	1	10
ქერი	—	50
ბამბა	—	—
მატყლი	—	—
აბრეშუმი	7	—
ქონი	4	50
ხორცი (ძროხის)	2	40
ღვინო	—	—
სპირტი	8	—
შაქარი	9	90

სახაზინო განცხადებები

— გორის მაზრის სამმართველოში კავკაზის პრიკაზის განკარგულებით დანიშნულია მომავლის წლის ფებერვლის 25 რიცხვს ვაჭრობა ვენახისა და სახნავი მიწების გასასყიდად სოფ. ქვემო ნიგოზს. სრული ამმაეის შეტყობა შეიძლება თვითონ გორის მაზრის სამმართველოში.

— ამავე დროს და აგრეთვე 11 მარტს დანიშნულია ვაჭრობა სხვა და სხვა ტფილისის მცხოვრებთ საკუთარი შენობების გასასყიდად. დაწვლილებითი ამბავი იხილე გაზეთის „კავკაზის" № 147 და № 148-ის დამატებებში.

лено цензурою. Тифлисъ, 21 Декабря 1873 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი პ. ლორთქიფანიძე.